**დანართი 1 :**

სასტუმრო უნდა იყოს 4 ვარსკვლავიანი აპარტ სასტუმროს სტანდარტის შესაბამისი

შენობას უნდა ჰქონდეს 3+1 ( მანსარდა) სართული, მინიმუმ 26 აპარტ ნომრით, რომლიდანაც სასურველია მინიმუმ 4 აპარტამენტი იყოს 2 ოთახიანი, ხოლო მინიმუმ 1 ( სასურველია 2 ) 3 ოთახიანი.

თითოეულ აპარტ ნომერში უნდა იყოს მინი სამზარეულო, აივანი. შენობას უნდა ჰქონდეს გარე პარკინგი, რეცეფცია, ლობი ბარი, საკონფერენციო/საბანკეტო სივრცე, რესტორანი, გარე და შიდა საბავშვო ზონები, დამოუკიდებელი სივრცეები სამთო-სათხილამურო ინვენტარის შენახვისათვის, ველნეს და სპა სივრცე, 2 ლიფტი, გარე და შიდა თერმული აუზები ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილის რესურსზე.

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას მოსამზადებელი ექნება :

1. განაშენიანების რეგულირების გეგმა ( გრგ )
2. სამშენებლო ნებართვისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია
3. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი.
4. პროექტის არქიტექტურული ნაწილის სრული პროექტი (გეგმები, ფასადები, ინტერიერისა და ექსტერიერის ვიზუალიზაცია/რენდერების ბოლო ვარიანტი)
5. კონსტრუქციული ნაწილი.
6. მშენებლობის ორგანიზაციისა და შრომის უსაფრთხოების პროექტები, შესაბამისი გეგმა-გრაფიკით.
7. კომუნიკაციების/საინჟინრო ქსელების პროექტები: წყალმომარაგება, წყალარინება, სანიაღვრე სისტემა, ელ-მომარაგება, სახანძრო უსაფრთხოების, სიგნალიზაციის სისტემების, სამეთვალყურეო კამერების, სუსტი დენების ქსელის, პარკირების, პროექტები.
8. მუშა ნახაზები
9. დამატებითი პროექტები, რაც აუცილებლად საჭიროა პროექტის სრულყოფილად რეალიზაციისთვის.